



ევროპული სასამართლო: საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის წინასწარი პატიმრობა მასზე ზეწოლის განსახორციელებლად იქნა გამოყენებული

გამოქვეყნების თარიღი: 2016 წლის 14 ივნისი

2016 წლის 14 ივნისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა მასზე ზეწოლის განსახორციელებლად იქნა გამოყენებული და “გონივრულობას იყო მოკლებული”. ი.მერაბიშვილის ინტერესებს ევროპული სასამართლოს წინაშე იცავდნენ ლონდონის მიდლსექსის უნივერსიტეტის “ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი” და იურისტი ოთარ კახიძე ქ.თბილისიდან.

ივანე მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობს იკავებდა 2012 წელს, სამი თვის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დროს. მოგვიანებით იგი პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” გენერალურ მდივნად იქნა დანიშნული. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია “ქართული ოცნების” გამარჯვების შემდეგ, საქართველოში განხორციელდა “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ლიდერთა მასობრივი დაკავებები. დაკავებულთა შორის იყო ქ.თბილისის ყოფილი მერი გიორგი უგულავა. ი.მერაბიშვილი დააკავეს 2013 წლის 21 მაისს, 5.2 მილიონი ლარის ოდენობის (დაახლ. 2 მილიონი ევროს ექვივალენტი) საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად განკარგვის ბრალდებით. მან თითქმის 9 თვე წინასწარ პატიმრობაში გაატარა. 2014 წლის 17 თებერვალს სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო ამომრჩეველთა მოსყიდვაში, სხვისი ქონების უკანონოდ განკარგვაში და ბინის ხელშეუხებლობის დარღვევაში, და ხუთწლიანი პატიმრობა შეუფარდა. ი.მერაბიშვილი ამჟამად სასჯელს იხდის ქ.თბილისში მდებარე საპატიმრო დაწესებულებაში.

ევროპულ სასამართლოში შეტანილ საჩივარში ი.მერაბიშვილი აცხადებდა, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი, ვინაიდან გადაწყვეტილება, რომლითაც მას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა, ეყრდნობოდა ბუნდოვან საკანონმდებლო ნორმებს და გონივრული საფუძველი არ გააჩნდა. მისივე მტკიცებით, ეროვნულმა სასამართლომ 2013 წლის 23 სექტემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში ვერ უზურნველყო მისი შუამდგომლობის სათანადო განხილვა, ხოლო შუამდგომლობაზე უარი სათანადოდ არ დაასაბუთა. და ბოლოს, მომჩივანი აცხადებდა, რომ მის წინააღმდეგ აღძრული საქმე ემსახურებოდა მისი პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორების მიზანს,



“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” დასუსტებასა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მის მიერ კანდიდატის სახით მონაწილეობისათვის ხელის შეშლას (მე-18 მუხლი მე-5 მუხლის 1 პუნქტთან ერთად).

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია ბატონი მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა იყო კანონიერი, იგი “მოკლებული იყო გონივრულ საფუძველს” და შესაბამისად წარმოადგენდა მომჩივნის წინააღმდეგ ევროპული კონვენციის მე-5(3) მუხლით დაცული “უფლებების განსაკუთრებით ფართო შეზღუდვას”. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროს, როდესაც ბატონმა მერაბიშვილმა სასამართლოს მიმართა წინასწარი პატიმრობის გონივრულობაზე მსჯელობის თხოვნით, წინასწარი პატიმრობის დაწყებიდან 4 თვე იყო გასული. სასამართლომ ასევე დაადასტურა, რომ ქართული კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივ სასამართლოებს ეკისრებათ გონივრული ზეპირი ან წერილობითი გადაწყვეტილებების მიღების ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულება კიდევ უფრო გამძაფრებული იყო იმის გათვალისწინებით, რომ ბატონი მერაბიშვილის დაპატიმრებიდან 4 თვე იყო გასული.

მე-18 მუხლის დარღვევის დადგენისას სასამართლომ მიუთითა 2013 წლის 13 დეკემბრის ინციდენტზე, რომლის დროსაც ბატონი მერაბიშვილი გვიან ღამით გამოიყვანეს საკნიდან “ენმ“-ს სხვა ლიდერების წინააღმდეგ აღძრულ გამოძიებასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ მე-18 მუხლის დარღვევის მტკიცებისას მტკიცების ტვირთი არის “მძიმე”, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანმა ინციდენტი სანდოდ და დამაჯერებლად აღწერა, ხოლო მომხდარის შესახებ შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს დაუყოვნებლივ შეატყობინა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ი.მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა გამოყენებულ იქნა არა მხოლოდ დაკავებულის სასამართლოს წინაშე წარდგენის უზრუნველსაყოფად, არამედ “დამატებითი შესაძლებლობის სახით, ბერკეტის მოსაპოვებლად იმ გამოძიებასთან მიმართებაში, რომელიც შეეხება ყოფილი პრემიერ-მინისტრის სიკვდილს და [ბატონი სააკაშვილის] ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით დაწყებულ მოკვლევას. [ევროპული კონვენციის მე-18 მუხლისათვის] ორივე მიზანი სრულიად უცხოა.”

“ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის შემთხვევები უაღრესად იშვიათია - სულ რამოდენიმე საქმე არსებობს, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამართლებრივი დევნა პოლიტიკური ან სხვა ფარული მიზნებისათვის განხორციელდა. საქართველოს მიმართ მსგავსი დადგენილება პირველად იქნა გამოტანილი - ცალსახაა, რომ აღნიშნული უაღრესად სერიოზულ საკითხს წარმოადგენს იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება ყოფილ პრემიერ-მინისტრს, რომელთან დაკავშირებითაც



სასამართლომ დაადგინა, რომ წინასწარი პატიმრობა ეფუძნებოდა არა მხოლოდ ლეგიტიმურ მიზანს, არამედ ორ “სრულიად უცხო” მიზეზს. სასამართლოს დასკვნები მანიშნებელია იმისა, რომ სრულფასოვნად ფუნქციონირებადი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის აუცილებელი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად დაუყოვნებლივ საჭიროა სასამართლო სისტემის შემდგომი სისტემური რეფორმა.”

პროფესორი ფილიპ ლიჩი, “ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის” დირექტორი

სასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლებამ განგრძობადი პატიმრობისთვის მიმდინარე დასაბუთება უნდა წარმოადგინოს. საკმარისი არ არის ის ფაქტი, რომ ივანე მერაბიშვილის დაკავება და წინასწარი პატიმრობა თავდაპირველად იყო კანონიერი და გონივრულად დასაბუთებული. ჩვენ აგრეთვე მივესალმებით სასამართლოს მიერ მე-18 მუხლის დარღვევის დადგენას. ივანე მერაბიშვილის საქმე ჩვენი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მეორე საქმეა, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული დარღვევა დაადგინა. ბრალდება იმის თაობაზე, რომ შეიზღუდა პოლიტიკოსის საქმიანობა მისი პოლიტიკიდან ჩამოშორების მიზნით სერიოზული ბრალდებაა, ვინაიდან, როგორც ეს სასამართლომ განაცხადა, “ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიის ფუნქციონირებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს”. მივესალმებით ამ მიმართულებით სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაღრმავებას.

2016 წლის 22 ივნისს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია საქართველოში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია:

“უკვე რამოდენიმეჯერ ორგანიზებული ძალადობის ფაქტებს ჰქონდა ადგილი საპარლამენტო ოპოზიციის წევრებისა და პოლიტიკოსების წინააღმდეგ, იმ პიროვნებების მიერ, რომლებიც, გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს მთავობასთან არიან დაკავშირებული. მთავრობის ვალდებულებაა, დასაჯოს დამნაშავეები, ხოლო მთავრობის მიერ აღნიშნული ვალდებულების განმეორებით შეუსრულებლობა სერიოზულ კითხვებს აჩენს საქართველოში თანაბარი [საარჩევნო] გარემოს არსებობის კუთხით.

[...] ბატონი მერაბიშვილი მესამე პოლიტიკური ფიგურაა, რომელთან მიმართებითაც სასამართლომ აღნიშნული დარღვევა დაადგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრთა კომიტეტი იმ შემთხვევებთან



დაკავშირებით, სადაც აღნიშნული მუხლის დარღვევა იქნა დადგენილი, როგორც წესი, შესაბამისი პირის [პატიმრობიდან] განთავისუფლებისა და მის წინააღმდეგ ყველა ბრალდების მოხსნის რეკომენდაციას იძლევა. ჩვენ საქართველოს პრეზიდენტს მოვუწოდებთ, გამოიყენოს თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილება და პატივი სცეს აღნიშნულ გადაწყვეტილებას. არჩევნებს უკვე ჩრდილი მიაყენა წინა-საარჩევნო პერიოდში მთავარი ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივნის პატიმრობაში ყოფნამ, რომლის მიმართაც ევროპულმა სასამართლომ მე-18 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა დაადგინა.”